ა) უცხოელის საქართველოში ყოფნა შეუთავსებელია სახელმწიფო უშიშროების ინტერესებთან გამომდინარეობს;

ბ) უცხოელის მიერ გაძევების შესახებ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულება საფუძვლიან ეჭვს იწვევს;

გ) უცხოელი დაკავებულია ადმინისტრაციული წესით.

5. უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ შეიძლება იქნას:

ა) საქართველოში უცხოელის კანონიერად ყოფნის ხანგრძლივობა, მისი პირადი და ეკონომიკური კავშირები საქართველოსთან;

ბ) გაძევების შედეგები უცხოელის ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც საქართველოში კანონიერად იმყოფებიან

### მუხლი 65
### უცხოელისთვის იმიგრანტის, ლტოლვილის ან თავშესაფრის მქონე პირის სტატუსის მოხსნა

1. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მის მიმართ შესაბამისად საქართველოში იმიგრანტის, ლტოლვილის ან თავშესაფრის მქონე პირის სტატუსის მოხსნის საფუძველს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უცხოელისათვის საქართველოში იმიგრანტის სტატუსის მოხსნაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უცხოელისათვის ლტოლვილის სტატუსის მოხსნაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულება გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

4. საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულება გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს წარდგინებით ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უცხოელისათვის თავშესაფრის მქონე პირის სტატუსის მოხსნაზე.

### მუხლი 66
### გაძევების საკითხზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

გადაწყვეტილება უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის (შუამდგომლობის) შეტანა თავისთავად არ შეიძლება გახდეს გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძველი.

## თავი X
## უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

### მუხლი 67
### გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო

1. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, კომპეტენციათა და პრაქტიკულ-ორგანიზაციულ შესაძლებლობათა განაწილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ საქართველოს იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროები და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი ერთობლივად. უცხოელის საქართველოდან გაძევების აღსრულების საერთო ორგანიზებას ახდენს ის სახელმწიფო დაწესებულება, რომლის მიერ შედგენილი დასკვნა უცხოელის საქართველოდან გაძევების მიზანშეწონილობის შესახებ გახდა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

2. ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს საქართველოდან უცხოელის გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

3. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება 24 საათის განმავლობაში ეგზავნება შესაბამისად საქართველოს იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროებს და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს

### მუხლი 68
### გაძევების დაქვემდებარებული უცხოელის დაკავება

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად უცხოელის გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა უზრუნველყოფს გაძევებას დაქვემდებარებული

...ის მისთვის გასაგებ ენაზე საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების გაცნობას, [illegible] კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების განმარტებას, გაძევებას [დაქვემდ]ებარებული უცხოელის გაფრთხილებას სამი დღის ვადაში საქართველოს ტერიტორიის ნებაყოფლობით [დატო]ვების აუცილებლობაზე.

2. უცხოელი, რომლის მიმართაც მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოდან გაძევების შესახებ, ვალდებულია გადაწყვეტილების მისთვის გასაგებ ენაზე გაცნობიდან 3 დღის ვადაში დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

მუხლი 69
კონტროლირებადი გაძევების წესი

1. საქართველოდან კონტროლირებად გაძევებას ექვემდებარება:

ა) უცხოელი, რომლის მიმართაც მიღებულია გადაწყვეტილება კონტროლირებადი გაძევების შესახებ;

ბ) უცხოელი, რომელიც გაძევების ვადაში არ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად უცხოელის კონტროლირებად გაძევებას ექვემდებარება და გაძევების აღსრულება არ საჭიროებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას.

3. უცხოელის კონტროლირებადი გაძევება შეიძლება განხორციელდეს:

ა) უცხოელის მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში;

ბ) იმ სახელმწიფოში, საიდანაც უცხოელი საქართველოში შემოვიდა;

გ) ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელიც უცხოელის მიღებაზე მზადყოფნას აცხადებს.

4. უცხოელის კონტროლირებადი გაძევება დაუშვებელია იმ სახელმწიფოში, სადაც:

ა) უცხოელს დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს [კა]ნმდებლობით დანაშაულად არ ითვლება;

ბ) უცხოელს დევნიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-[პო]ლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

მუხლი 70
კონტროლირებადი გაძევების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა

კონტროლირებადი გაძევების განსახორციელებლად შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება ფინანსდება [საქ]ართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 71
უცხოელის გაძევების აღსრულების კონტროლი

1. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე [...]რულებაში მონაწილე ყველა სახელმწიფო დაწესებულების მიერ აღსრულებიდან არა უგვიანეს სამი დღისა [...]ა ეცნობება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

2. უცხოელთა საქართველოდან გაძევების აღრიცხვასა და გაძევების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა [აღს]რულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 72
კონტროლირებად გაძევებას დაქვემდებარებულ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის შეზღუდვა

საქართველოდან გაძევებას დაქვემდებარებულ უცხოელზე ერთი, ხოლო კონტროლირებად გაძევებას [დაქ]ვემდებარებულ უცხოელზე გაძევების აღსრულებიდან სამი წლის განმავლობაში არ გაიცემა საქართველოში [შემო]სასვლელი ვიზა ან/და საქართველოში შემოსასვლელი სხვა საბუთი. აგრეთვე მას ამავე ვადაში არ [შეი]ძლება მიენიჭოს საქართველოში იმიგრანტის, დროებით მცხოვრები პირის ან ლტოლვილის სტატუსი, მიეცეს თავშესაფარი საქართველოში.

თავი XI
უცხოელის ადმინისტრაციული დაკავება

მუხლი 73
უცხოელის ადმინისტრაციული დაკავება

1. ამ კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად [ადმ]ინისტრაციულ დაკავებას ექვემდებარება:

ა) ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის უცხოელი;

ბ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე კონტროლირებად გაძევებას დაქვემდებარებული უცხოელი;

გ) უცხოელი, რომელიც გაძევების ვადაში არ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას.

2. ადმინისტრაციული წესით დაკავებული უცხოელი დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს სასამართლოს, ადმინისტრაციული დაკავების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაკავების თაობაზე, უცხოელი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

3. უცხოელის ადმინისტრაციული დაკავება შესაბამისად გრძელდება:

ა) უცხოელის პიროვნებისა და ვინაობის, მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის ან საქართველოში შემოსვლის ქვეყნის დადგენამდე;

ბ) უცხოელის საქართველოდან გაძევების აღსრულების დასრულებამდე.

4. უცხოელის ადმინისტრაციული დაკავების ინიციატორი სახელმწიფო დაწესებულება პასუხისმგებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შესაძლო მოკლე ვადებში დადგენისა და აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კომპეტენციათა და პრაქტიკულ-ორგანიზაციულ შესაძლებლობათა განაწილების გათვალისწინებით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების თანამონაწილეობის ორგანიზებაზე.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო უცხოელის დაკავების ადგილის მიხედვით.

## თავი XII
## უცხოელთა პასუხისმგებლობა

### მუხლი 74
### პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის უცხოელებს დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროთ საქართველოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

### მუხლი 75
### პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 76
### დანაშაულში ბრალდებული უცხოელის გადაცემა

უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულში ბრალდებული უცხოელის გადაცემა ხორციელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, ან თუ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, ნაცვალგების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით.

## კარი IV
## დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

## თავი XIII
## დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

### მუხლი 77
### მოსაკრებელი

1. საქართველოს ვიზების გაცემისა და გაგრძელებისათვის უცხოელები იხდიან საკონსულო მოსაკრებელს "საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. საქართველოში დროებითი ცხოვრების და იმიგრაციის ნებართვის საკითხის განხილვისა-გადაწყვეტისათვის უცხოელები იხდიან სახელმწიფო ბაჟს "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

### მუხლი 78
### იმიგრაციასთან დაკავშირებული სპეციალური დებულებანი

უცხოელები, რომლებიც საქართველოში იმიგრანტის სტატუსი მიიღეს ებული ჰქონდათ იმ საფუძვლებით, რომლებისთვისაც ამ კანონით მხოლოდ დროებითი ცხოვრების ნებართვაა გათვალისწინებული, საქართველოს

ტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით ექვემდებარებიან ამ კანონის ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში ამ კანონის შესაბამისად საქართველოში დროებითი ცხოვრების ნებართვის მიღებას.

### მუხლი 79
### საქართველოში კანონიერ საფუძველზე ცხოვრების ფაქტის სასამართლო წესით დადასტურება

ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოში იმიგრაციის ნებართვის მიღებისას იმ პირს, რომელიც დოკუმენტალურად ვერ ადასტურებს 2003 წლის 1 იანვრამდე საქართველოში კანონიერ საფუძველზე ცხოვრების ფაქტს, შესაბამისი პერიოდის განმავლობაში (2003 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში ცხოვრების ფაქტი შეიძლება დაუდასტურდეს სასამართლოს მიერ იურიდიული ფაქტის დადგენისათვის არსებული წესით.

### მუხლი 80
### ვიზის გაცემასთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

2007 წლამდე ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს ვიზა შეიძლება გაიცეს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო-სავიზო სამსახურების მიერ.

### მუხლი 81
### ვიზის გაცემა სასაზღვრო გამტარ პუნქტებში არსებულ საკონსულო-სავიზო სამსახურებში

სასაზღვრო გამტარ პუნქტში არსებულ საკონსულო-სავიზო სამსახურში ვიზა შეიძლება გაიცეს:

ა) უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან იმ ქვეყნებიდან, სადაც საქართველოს არა აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება ან/და თუ ვიზის გაცემა წინასწარ შეთანხმებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან;

ბ) ნაცვალგების პრინციპის შესაბამისად;

გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ეროვნული უშიშროებისა და ეკონომიკური ინტერესის გათვალისწინებით დადგენილი ქვეყნების მოქალაქეთათვის;

დ) საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

### მუხლი 82
### დებულებები იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირების შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროსთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად 2004 წლის 1 იანვრამდე 2003 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ კანონის ფარგლებში უზრუნველყოს იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსება.

2. იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის სამართლებრივი ბაზის ფორმირების მიზნით ამ კანონის ძალაში შესვლიდან 2 თვეში გამოიცეს იუსტიციის სამინისტრის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრის, საგარეო საქმეთა სამინისტრის, შინაგან საქმეთა სამინისტრის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი ბრძანება „იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირებისა და ფუნქციონირების შესახებ", რომელშიც გათვალისწინებული იქნება:

ა) იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირებისათვის აუცილებელი ღონისძიებები;

ბ) იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის სამთავრობო დაწესებულებების მიერ შევსებისა და განახლების წესი;

გ) იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის მონაცემების ოპერატიული ურთიერთგაცვლისა და მონაცემების ერთობლივი სარგებლობის წესი;

დ) იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის მონაცემთა ურთიერთშეჯერების, ურთიერთგანზოგადებისა და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშების ავტომატიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის წესი და პროცედურები;

ე) იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის და ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი;

ვ) იმიგრაციულ-ემიგრაციულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის შესაბამის მონაცემებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის რეჟიმი;

ზ) იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირების საფინანსო-მატერიალურ უზრუნველყოფაში სამინისტროების, დაწესებულებების, საერთაშორისო და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

მუხლი 83
დეპორტირებულ უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრის შესახებ

1. ამ კანონის შესაბამისად უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების და მათთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრი.

2. უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრში უცხოელთა განთავსების სავალდებულოდ დასაცავ ზღვრულ ვადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებული უცხოელი ექვემდებარება უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრში გადაცემას.

მუხლი 84
კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები

1. საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს პარლამენტმა 3 თვის ვადაში უზრუნველყონ შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადება, მიღება (გამოცემა) ან დამტკიცება:

ა) შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონი;

ბ) საქართველოში დროებითი ცხოვრების და იმიგრაციის ნებართვის მინიჭების საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესი;

გ) უცხოელთა საქართველოში რეგისტრაციის წესი;

დ) საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა უცხოელი თანამშრომლების persona non grata-დ გამოცხადების წესი.

2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს:

ა) 6 თვეში:

ა.ა) მოქმედი კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა;

ა.ბ) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეორგანიზაციის ჩატარება აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო სისტემაში მიგრაციული კონტროლის სამსახურის სტრუქტურულ-ფუნქციური მდგომარეობის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

ბ) 3 თვეში:

ბ.ა) საქართველოს იუსტიციის, სახელმწიფო ქონების მართვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მონაწილეობით უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების უზრუნველყოფა;

ბ.ბ) საქართველოდან უცხოელთა კონტროლირებადი გაძევების აღსრულებისთვის საჭირო საშტატო რიცხოვნების გადაცემისა და სათანადო საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფის საკითხების გადაწყვეტა;

ბ.გ) უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრის შექმნის უზრუნველყოფა;

ბ.დ) საქართველოდან უცხოელთა გაძევების პროცედურისა და უცხოელთა ადმინისტრაციული დაკავების ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემა.

მუხლი 85
კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) "საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ" საქართველოს კანონი;

ბ) "იმიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონი;

გ) "მიგრანტთა ინსპექტორების შესახებ" საქართველოს კანონი;

დ) "მიგრანტთა ინსპექტორების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონი;

ე) "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის №111 ბრძანებულება „უცხოელთა საქართველოდან გაძევების დროებითი წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე".

მუხლი 86
კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, VIII, IX, X, XI თავების, 82-ე მუხლის, 83-ე მუხლის, 84-ე მუხლის, 85-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტის გარდა, ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის 82-ე მუხლი, 83-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 84-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, VIII, IX, X, XI თავები, 83-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 85-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2004 წლის 1 ივლისიდან.

4. ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტი, მე-10 მუხლი ამოქმედდეს შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონის ძალაში შესვლასთან ერთად.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი